

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

2022 წლის 19 მაისი

ქ. ზესტაფონი

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილების (ვებგვერდი, 16/12/2021 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.127.016410) 1-ლ, მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-13, მე-15, მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლებში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**თავი I**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	24 668,7	9 464,5	15 204,2	28 158,7	7 346,3	20 812,4	30 049,8	8 306,3	21 743,5
გადასახადები	13 676,4	0,0	13 676,4	16 796,4	0,0	16 796,4	20 345,5	0,0	20 345,5
გრანტები	10 104,5	9 464,5	640,0	9 292,3	7 346,3	1 946,0	8 571,3	8 306,3	265,0
სხვა შემოსავლები	887,8	0,0	887,8	2 070,0	0,0	2 070,0	1 133,0	0,0	1 133,0
ხარჯები	11 473,1	580,7	10 892,3	14 703,7	623,8	14 079,9	18 576,8	859,6	17 717,2
შრომის ანაზღაურება	1 918,7	0,0	1 918,7	2 197,2	0,0	2 197,2	3 313,5	0,0	3 313,5
საქონელი და მომსახურება	1 181,7	512,6	669,1	1 884,7	538,6	1 346,1	3 113,0	857,0	2 256,0



პროცენტი	173,1	0,0	173,1	143,5	0,0	143,5	118,4	0,0	118,4
სუბსიდიები	5 619,7	0,0	5 619,7	7 216,3	0,0	7 216,3	8 485,9	0,0	8 485,9
გრანტები	21,4	0,0	21,4	17,5	0,0	17,5	20,0	0,0	20,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 510,1	0,0	1 510,1	1 691,1	0,0	1 691,1	1 753,1	0,0	1 753,1
სხვა ხარჯები	1 048,3	68,1	980,2	1 553,4	85,2	1 468,2	1 772,9	2,6	1 770,3
საოპერაციო სალდო	13 195,6	8 883,8	4 311,9	13 455,0	6 722,5	6 732,5	11 473,0	7 446,7	4 026,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 325,9	9 896,2	3 429,7	16 946,2	7 309,8	9 636,4	18 807,7	7 733,8	11 073,9
ზრდა	14 111,1	9 896,2	4 214,9	17 146,2	7 309,8	9 836,4	18 857,7	7 733,8	11 123,9
კლება	785,2	0,0	785,2	200,0	0,0	200,0	50,0	0,0	50,0
მთლიანი სალდო	-130,3	-1 012,4	882,2	-3 491,2	-587,3	-2 903,9	-7 334,7	-287,1	-7 047,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	-348,8	-1 012,4	663,6	-3 725,4	-587,3	-3 138,1	-7 586,1	-287,1	-7 299,0
ზრდა	663,6	0,0	663,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	663,6		663,6	0,0			0,0		
კლება	1 012,4	1 012,4	0,0	3 725,4	587,3	3 138,1	7 586,1	287,1	7 299,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 012,4	1 012,4		3 725,4	587,3	3 138,1	7 586,1	287,1	7 299,0
ვალდებულებების ცვლილება	-218,6	0,0	-218,6	-234,2	0,0	-234,2	-251,4	0,0	-251,4
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	218,6	0,0	218,6	234,2	0,0	234,2	251,4	0,0	251,4
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

## მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	25,453.9	9,464.5	15,989.4	28,358.7	7,346.3	21,012.4	30099,8	8 306,3	21 793,5
შემოსავლები	24,668.7	9,464.5	15,204.2	28,158.7	7,346.3	20,812.4	30049,8	8 306,3	21 743,5



არაფინანსური აქტივების კლება	785.2	0.0	785.2	200.0	0.0	200.0	50,0	0,0	50,0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	25,802.7	10,476.9	15,325.8	32,084.1	7,933.6	24,150.5	37 685,9	8 593,4	29 092,5
ხარჯები	11,473.1	580.7	10,892.3	14,703.7	623.8	14,079.9	18 576,8	859,6	17 717,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	14,111.1	9,896.2	4,214.9	17,146.2	7,309.8	9,836.4	18857,7	7 733,8	11 123,9
ვალდებულებების კლება	218.6	0.0	218.6	234.2	0.0	234.2	251,4	0,0	251,4
ნაშთის ცვლილება	-348.8	-1,012.4	663.6	-3,725.4	-587.3	-3,138.1	-7586,1	-287,1	-7 299,0

### მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **30049,8** ათასი ლარის ოდენობით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	24,667	9,464.5	15,204.2	28,158.7	7,346.3	20,812.4	30 049,8	8306,3	21743,5
გადასახადები	13,674	0.0	13,674	16,796.4	0.0	16,796.4	20 345,5	0,0	20345,5
გრანტები	10,105	9,464.5	640.0	9,292.3	7,346.3	1,946.0	8 571,3	8306,3	265,0
სხვა შემოსავლები	887.8	0.0	887.8	2,070.0	0.0	2,070.0	1 133,0	0,0	1 133,0

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **8571,3** ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021წლის გეგმა			2022 გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	10104,5	9 464,5	640,0	9 292,3	7 346,3	1 946,0	8 571,3	8306,3	265,0



საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0		0,0	197,6		197,6	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10104,5	9 464,5	640,0	9 094,7	7 346,3	1 748,4	8 571,3	8306,3	265,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 814,6	1 174,6	640,0	2 261,0	512,6	1 748,4	3 705,8	3440,8	265,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240,0		240,0	240,0		240,0	265,0		265,0
მიზნობრივი ტრანსფერი(განკ. მოსწ ტრანსპორტირება)	570,2	570,2	0,0	421,6	421,6		831,2	831,2	
მიზნობრივი ტრანსფერი(განკ.სკოლების რეაბილიტაცია)	604,4	604,4		91,0	91,0		0,0	0,0	
გრანტი ცენტრ, სსიპ-დან ( მუნიც განვ.ფონდი)	0,0	0,0		1 508,4	0,0	1 508,4	2 609,6	2 609,6	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8 289,9	8 289,9	0,0	6 833,7	6 833,7	0,0	4 865,5	4865,5	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	7 472,9	7 472,9		5 776,7	5 776,7		4 033,5	4033,5	
რ.გ.ფ სტიქიის პრევენცია	0,0	0,0			0,0			0,0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	817,0	817,0		832,0	832,0		832,0	832,0	
საქ. მთ. განკ.სტიქია	0,0		0,0	225,0	225,0		0,0	0,0	

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **18576,8** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	11,4731	580.7	10,8923	14,703.7	623.8	14,079.9	18576,8	859,6	17717,2
შრომის ანაზღაურება	1,918.7	0.0	1,918.7	2,197.2	0.0	2,197.2	3 313,5	0,0	3 313,5
საქონელი და მომსახურება	1,181.7	512.6	669.1	1,884.7	538.6	1,346.1	3 113,0	857,0	2 256,0
პროცენტი	173.1	0.0	173.1	143.5	0.0	143.5	118,4	0,0	118,4
სუბსიდიები	5,619.7	0.0	5,619.7	7,216.3	0.0	7,216.3	8 485,9	0,0	8 485,9
გრანტები	21.4	0.0	21.4	17.5	0.0	17.5	20,0	0,0	20,0



სოციალური უზრუნველყოფა	1,510.1	0.0	1,510.1	1,691.1	0.0	1,691.1	1 753,1	0,0	1 753,1
სხვა ხარჯები	1,048.3	68.1	980.2	1,553.4	85.2	1,468.2	1 772,9	2,6	1 770,3

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 18807,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 18857,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ორგ.კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	64,4	312,0	171,1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12110,2	14121,2	13940,7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	197,5	10,5	173,1
04 00	განათლება	1411,7	215,7	442,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	298,0	2486,6	4130,1
06 00	სოციალური უზრუნველყოფა	29,3	0,2	0,7
	სულ	14111,1	17146,2	18857,7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	785,2	200	50
ძირითადი აქტივები	110,2	70,0	0,0
ფასეულობები	551,6	80,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	123,4	50,0	50,0
მიწა	123,4	0	0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0,0	50,0	50,0



**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქც-კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 762,2	0,0	2 762,2	3 609,2	0,0	3 609,2	4 998,4	0,0	4 998,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 762,2	0,0	2 762,2	3 318,9	0,0	3 318,9	4 957,8	0,0	4 957,8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 762,2	0,0	2 762,2	3 168,9	0,0	3 168,9	4 807,8	0,0	4 807,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	150,0	0,0	150,0	150,0	0,0	150,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	12 176,4	8 899,7	3 276,7	13 427,0	7 283,4	6 143,6	14 386,8	5 710,2	8 676,6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	787,5	785,9	1,6	908,8	896,1	12,7	956,6	956,6	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	787,5	785,9	1,6	908,8	896,1	12,7	956,6	956,6	0,0
70422	სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	11 062,3	8 113,8	2 948,5	12 111,1	6 387,3	5 723,8	13 200,0	4 753,6	8 446,4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11 062,3	8 113,8	2 948,5	12 111,1	6 387,3	5 723,8	13 200,0	4 753,6	8 446,4
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	5,0	0,0	5,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70472	სასტუმროები და რესტორნები	5,0	0,0	5,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ	321,6	0,0	321,6	407,1	0,0	407,1	230,2	0,0	230,2



	საქმიანობაში									
705	გარემოს დაცვა	1 969,5	0,0	1 969,5	2 386,6	0,0	2 386,6	1 920,8	0,0	1 920,8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 969,5	0,0	1 969,5	2 386,6	0,0	2 386,6	1 920,8	0,0	1 920,8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	608,6	0,6	608,0	1 931,4	0,0	1 931,4	2 293,9	0,0	2 293,9
7061	ბინათმშენებლობა	281,0	0,6	280,3	523,5	0,0	523,5	803,0	0,0	803,0
7063	წყალმომარაგება	261,6	0,0	261,6	1 325,6	0,0	1 325,6	225,7	0,0	225,7
7064	გარე განათება	66,0	0,0	66,0	82,3	0,0	82,3	1 265,2	0,0	1 265,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	169,4	0,0	169,4	196,1	0,2	195,9	223,0	0,2	222,8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	169,4	0,0	169,4	196,1	0,2	195,9	223,0	0,2	222,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 877,0	62,5	1 814,5	4 395,8	0,0	4 395,8	6 615,0	2 036,0	4 579,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	769,2	62,5	706,7	1 592,5	0,0	1 592,5	1 746,2	0,0	1 746,2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	939,6	0,0	939,6	2 628,3	0,0	2 628,3	4 673,3	2 036,0	2 637,3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	165,0	0,0	165,0	165,0	0,0	165,0	165,0	0,0	165,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	3,2	0,0	3,2	10,0	0,0	10,0	30,5	0,0	30,5
709	განათლება	4 286,0	1 514,1	2 771,9	3 825,6	650,0	3 175,6	4 907,9	847,0	4 060,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 765,5	2,0	2 763,6	3 143,3	7,0	3 136,3	4 020,9	0,0	4 020,9
7092	ზოგადი განათლება	1 520,4	1 512,1	8,3	682,3	643,0	39,3	887,0	847,0	40,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 520,4	1 512,1	8,3	682,3	643,0	39,3	887,0	847,0	40,0
710	სოციალური დაცვა	1 953,8	0,0	1 953,8	2 312,4	0,0	2 312,4	2 340,1	0,0	2 340,1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	155,9	0,0	155,9	185,4	0,0	185,4	195,4	0,0	195,4
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	99,8	0,0	99,8	111,6	0,0	111,6	105,0	0,0	105,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	667,6	0,0	667,6	879,3	0,0	879,3	896,0	0,0	896,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	439,9	0,0	439,9	500,0	0,0	500,0	440,0	0,0	440,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	119,6	0,0	119,6	153,9	0,0	153,9	168,5	0,0	168,5
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	315,0	0,0	315,0	340,0	0,0	340,0	390,0	0,0	390,0





7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	156,0	0,0	156,0	142,2	0,0	142,2	145,2	0,0	145,2
	სულ	25 802,7	10 476,9	15 325,8	32 084,1	7 933,6	24150,5	37 685,9	8 593,4	29 092,5

## მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 11473,0 ათასი ლარი, მთლიანი სალდო -7334,7 ათასი ლარი.

ათასი ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	13195,6	13455,0	11473,0
მთლიანი სალდო	-130,3	-3491,2	-7334,7

## თავი II

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

#### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16 680,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	13 200,0
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	953,2
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	12 212,0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	34,8
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 293,9
02 02 01	საკანალიზაციო სისტემის ჩამდინარე წყლების გადამუშავების ხარჯი	0,0
02 02 02	ბინათმშენებლობა	803,0
02 02 03	წყალმომარაგება	225,7
02 02 04	გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია	532,4
02 02 05	გარე განათების მოვლა-პატრონობა	732,8
02 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	956,6
02 03 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებები.	956,6





02 03 02	ააიპ სანაშენე მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვის ზესტაფონის ცენტრი	0,0
02 04	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	230,2

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2022 წლის გეგმა ათას ლარში
	02 01		13200,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორე ხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო სანიაღვრე არხები, გზების ორმული დამუშავება,		
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		953.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. საჭიროა ცენტრალურ და მეორე ხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, შესაკეთებელი და სარეაბილიტაციო სანიაღვრე არხები. ორმული დამუშავება, გზების თოვლისგან გაწმენდა, მოხრეშვა მომანდაგება.		
ქვეპროგრამის ღონისძიებები	გზის, ქუჩის, სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, ბოგირების, ხიდების, არასაცხოვერბელი და სხვა შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია		
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	გზების კაპიტალური შეკეთება მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების კაპიტალური შეკეთება	2022 წლის გეგმა ათას ლარში
02 01 02			12212.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების		



გზრების კაპიტალური შეკეთების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია აქედან:

- საპროექტო-სახარჯთაარრიცხოვო დოკუმენტაციის დამზადება 250,0 ათასი ლარი.
- რეგონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ობიექტების თანადაფინანსება 300,0 ათასი ლარი.
- 2021 წლიდან გარდამავალი ობიექტების დაფინანსება 784,1 ათასი ლარი ((სოფელ დილიკაურში ხვედელიების საუბნო გზის რეაბილიტაცია 393,7 ათასი ლარი, ქ.ზესტაფონში ჯორჯაძის ქუჩის რეაბილიტაცია 42,7 ათასი ლარი, სოფელ არგვეთაში მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 347,7 ათასი ლარი).
- სპეც. ტექნიკა 654,0 ათასი ლარი ( ჭაბურღილის საჭრელი მანქანა 400,0 ათასი ლარი, ექსკავატორი /მრავალფუნქციური ტრაქტორი 254,0 ათასი ლარი) .
- ქ.ზესტაფონში, თამარ მეფის მე-3 ჩიხის მერკვილაძეების ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაცია 27,5 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, ნიკო ნიკოლაძის №1-ში სანიაღვრე არხის მოწყობა ღირებულებით 23,8 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №5გ დან მეგობრობის ქუჩის 7 ნომრამდე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა 25,2 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, დადიანის ქუჩის №10-18 ჩიხი ასფალტობეტონის საფარით მოწყობა 28,6 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, დადიანის ქუჩის №19-27 ჩიხი ასფალტობეტონის საფარით მოწყობა 16,0 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში კოსტავას ქუჩის №37-39 ჩიხი ასფალტობეტონის საფარით მოწყობა 23,5 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, ნიკოლაძის ქუჩის პირველი შესახვევის გზის რეაბილიტაცია 115,2 ათასი ლარი.
- ქ.ზესტაფონში, უზნაძის პირველ ჩიხში 16 სმ სისქით გზის ბეტონის საფარით მოწყობა 9,0 ათასი ლარი.
- სოფელ მეორე სვირში იუსტიციის სახლიდან ცინაძეების ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 266,7 ათასი ლარი.
- სოფელ მეორე სვირისა და სადგურ სვირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის არებული სესხის ვალდებულება 166,1 ათასი ლარი, პროცენტი 85,3 ათასი ლარი.
- სტაროსელსკის ქუჩაზე გზაგამტარი ხიდ/ გვირაბის რეაბილიტაცია 67,0 ათასი ლარი
- სოფ კვალითში ჯვართან საყრდენი კედლის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია 83,8 ათასი ლარი
- ერთი ერთეული ამწ – კალათა(ახალი) 160,0 ათასი ლარი
- სოფ.კვალითში ჯვართან საყრდენი კედლის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია 83,8 ათასი ლარი.
- უზნაძის ქუჩაზე პირველ შესახვევში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია 2,9 ათასი ლარი.
- სოფ ნიჩაბაში საუბნო გზაზე 16 ლოკაციაზე ცხაურით დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა 18,8 ათასი ლარი.
- სოფ ბოსლევში მიღმის უბანში 8 მეტრიანი ცხაურით დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა 2.0 ათასი ლარი.
- ჩხეიძის მეხუთე შესახვევში (ყოფილი ეთნოგრაფიული კუთხის მიმდებარედ) სანიაღვრე ბეტონის არხის გაგრძელების მოწყობა 22,7 ათასი ლარი.
- თამარ მეფის მე-4 შესახვევის რეაბილიტაცია 43.1 ათასი ლარი.
- სოფ ზედა საქარაში თავაძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა 10.6 ათასი ლარი.
- თანადაფინანსება( საპილოტე რეგიონები)სოფ კვალიტში ბარბაქაძის ეკლესიამდე სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია 183,0 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის პირველი შესახვევის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 59.6 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის პირველი ჩიხის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 11,6 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის მეორე ჩიხის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 12,1 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის მესამე ჩიხის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 15,3 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის მეოთხე ჩიხის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 10,5 ათასი ლარი.
- ქ. ზესტაფონში გრ. ხანციელის მეხუთე ჩიხის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 35,7 ათასი ლარი.
- მეორე სვირის ადმ. ერთეულში ჯიკვათირის საუბნო გზაზე ცხაურით დახურული მონოლითური რკინა ბეტონის კიუეტის მოწყობა 26,8 ათასი ლარი.

– საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ბიუჯეტში 4033,5 ( 4 033545 ლარი) ათასი ლარი განსაზღვრულია, მიემართოს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად:

- სოფელ მეორე სვირში ცხადაძე მერკვილაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 133,6 ათასი ლარი.
- სოფელ საწაბლის გზის რეაბილიტაცია 67.00 ათასი ლარი.
- სოფელ პირველ სვირში ცენტრალური გზიდან ჭულუხაძეები ჭურამეები,გეწაზეების გზის რეაბილიტაცია 702,1 ათასი ლარი.
- სანახშირის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მუხები) 109.00 ათასი ლარი.
- სოფელ ცხრაწყაროში მეორე ქუჩაზე საბავშვო ბაღისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

78,8 ათასი ლარი.

- მეორე სვირის ჯუღელეების უბნის გზის რეაბილიტაცია 433,7 ათასი ლარი.
- სოფელ სვეტმალაში გზის რეაბილიტაცია 455,6 ათასი ლარი.
- სოფელ ქვედა საზანოში ე/წ სამცვერაზე ჩასასვლელი გზის რეაბილიტაცია 375,0 ათასი ლარი.
- სოფელ ბოსლევში თავბერიხეების უბნის გზის რეაბილიტაცია 596,6 ათასი ლარი.



- სოფელ ზედა საქარაში ბღლევის გზის რეაბილიტაცია 360,1 ათასი ლარი.
- სოფელ განთიადის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 328,7 ათასი ლარი.
- სოფ ქვედა საქარაში აბესაძე გოგიაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია 393,4 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, გამოყოფილი ობიექტებისათვის საჭიროა თანადაფინანსება 211,4 ათასი ლარი. (სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 5 %), რომლის ხარჯი გაწეული უნდა იქნას, ბიუჯეტში ასახული გზების კაპიტალურ შეკეთებაში თანადაფინანსებისათვის არსებული თანხებიდან.

**ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		803,0

**ქვე პროგრამის განმახორციელებელი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური

**პროგრამის აღწერა**

მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათსაკუთრებათა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებლად მოვლა-პატრონობას და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ქერს და მაღალსართულზე განთავსებულ ბინებს. აქედან გამომდინარე ქ.ზესტაფონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადები, სადარბაზოები, სარდაფები, სახურავები და შიდა კომუნიკაციები რეაბილიტაციას საჭიროებს.

აქედან: ეზოების ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 533,5ათასი ლარი. მათ შორის:

- ქ.ზესტაფონში, აღმაშენებლის ქუჩა №57 103,3ათასი ლარი,
- აღმაშენებლის ქუჩა №59 39,5ათასი ლარი,
- ფარნავაზის №1 63,3 ათასი ლარი,
- კვალითის დასახლება ჩიკაშუას №10 41,5 ათასი ლარი,
- ჩიკაშუას №11 49,4 ათასი ლარი,
- შათირიშვილის №7 35,0 ათასი ლარი,
- შათირიშვილის ქუჩა №27 40,3 ათასი ლარი,
- შათირიშვილის ქუჩა №5 20,6 ათასი ლარი,
- მალაკელიძის №7 57,3 ათასი ლარი,
- მალაკელიძის ქუჩა №13 38,9 ათასი ლარი,
- ჩიკაშუას ქუჩა №1 44,4 ათასი ლარი,
- გრიგოლ ხანცთელის პირველი შესახვევის №3-10 ბინების ეზოს რეაბილიტაცია ღირებულებით 63,4 ათასი ლარი.

-მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა 150,0ათასი ლარიდან 135 ლარი შემდეგ ობიექტებზე-ამხანაგობები „სხივი“-20306,66 ლარი, „სანდო“-17626,26 ლარი, „სოლიდარობა“-29285,56 ლარი, ერთობა-2“-797 ლარი, „ნანა“-55450 ლარი, „მეგობრობა ერთობა“-2164,98 ლარი, „ერთობა-2017“-9726,86 ლარი.



მოსალოდნელი შედეგი	კორპუსების შიდა ეზოების მოწყობა, სახურავების შეკეთება, განახლება, ფასადების შეღებვა, ლიფტების მოწესრიგება. საცხოვრებელი სახლების გადახურვა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალმომარაგება	2022 წლის გეგმა ათას ლარში
	02 02 03		
ქვე პროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: -სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება. -მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; -ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; -საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა.-სასმელი წყლის ჭის მოწყობა, ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. განხორციელდება		
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებდეს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილ იქნეს დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	2022 წლის გეგმა ათას ლარში
	02 02 04		
ქვე პროგრამის განმახორციელებელი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარეგანათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება.  ქ.ზესტაფონში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა – 300, 0 ათასი ლარი.სოფელ მეორე სვირში თეთრილედან ტყის მონაკვეთზე მცხოვრები წაქაძეების უბნამდე განათების მოწყობა 78,5 ათასი ლარი. მეორე სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ გზაზე მდ.შავგულიდან სოფ. ობჩის საზღვრამდე გარე განათების მოწყობა 82.5 ათასი ლარი.		
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი. განათებული ტერიტორიის ფართობის ზრდა. უსაფრთხო გარემოს შექმნა		

### მუხლი 15. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
-----------------	------------	-----------------



04 00	განათლება	4 907,9
04 01	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	3 595,5
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა	425,4
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	40,0
04 04	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	831,2
04 05	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა	15,8

პროგრამის დასახელება	კოდი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	2022 წლის გეგმა ათას ლარში
	04 01		3595,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო აღზრდის მიზნით მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ბავშვის გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 41 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1696-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯანში დასაქმებულია 154 აღმზრდელი და 372 შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბავშვებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>		
მიზანი, მოსალოდნელი შედეგი	<p>ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობები, მათ შორის:</p> <p>სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1696-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 54%-ს შეადგენს</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---	----------------------------------





პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა	პროგრამა მოიცავს: საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას. ტრანსპორტირება გულისხმობს, ისეთი სოფლებიდან სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების წაყვანას ახლომდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №147 განკარგულების საფუძველზე.
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგია სკოლის მოსწავლეებისათვის საშუალო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

## მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6 615,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 745,5
05 01 01	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება)	50,0
05 01 02	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა	374,6
05 01 03	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალამის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი	462,4
05 01 04	ტურიზმი	10,0
05 01 05	დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა	848,5
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4 674,0
05 02 01	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	68,4
05 02 02	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა	199,6
05 02 03	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი	555,1
05 02 04	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება	78,5



05 02 05	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლადიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	242,0
05 02 06	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა	201,1
05 02 07	მეგლთა დაცვა	2,1
05 02 08	იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები	21,9
05 02 09	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	3 276,6
05 02 10	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	28,7
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	30,5
05 04	ეპარქიის ხარჯები	165,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასვენებისა და სპორტის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 05		848,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელება: სტადიონებისა და სკვერების რეაბილიტაცია, მინი მოედნების რეაბილიტაცია მსენებლობა, მინი სტადიონის მოწყობა, სპორტული ტრენაჟორების მოწყობა.</p> <p>ფეხბურთის მოედნის მშენებლობა, რეაბილიტაცია. მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– ქ.ზესტაფონში წმინდა ნინოს ქუჩაზე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 70,7 ლარი.</li> <li>– სოფელ ზედა საქარაში სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობა 33,1 ათასი ლარი.</li> <li>– ქ.ზესტაფონში ტრენაჟორები და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა 200,0 ათასი ლარი.</li> <li>– ქ.ზესტაფონში ფარნავაზის №1-ში სტადიონის რეაბილიტაცია 68,7 ათასი ლარი.</li> </ul>		
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა.</p> <p>ახალგაზრდებში თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება.</p>		

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			68,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა		
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი, მათ შორის 4 ტექნიკური			





<b>პროგრამის აღწერა</b>	პერსონალი და 6 პედაგოგი, მოსწავლეთა კონტიგენტი განისაზღვრება 78 მოსწავლით, სკოლაში ისწავლება სხვა და სხვა დისციპლინები, ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, გობელინი
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	1) სამხატვრო განათლების მისაღებად შესაბამისი გარემოს შექმნა 2) დაწყებითი სამხატვრო განათლების მიცემა ბავშვებისთვის

კოდი	პროგრამის დასახელება	იუბილეობთან დაკავშირებული ხარჯი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 08			21.9
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	ფესტივლებისა და სიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა, სახალხო ზემოქმედების მოწყობა ადგილობრივი რესურსების ხელშეწყობით, ახალი სახეების მოძიება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, კულტურის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.		
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნების დახვეწა განვითარება. თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდ შემსრულებელთა გამოვლენა წახალისება. საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება.		

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 09			3276,6
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
<b>პროგრამის აღწერა</b>	<p>პროგრამის ფარგლებში შემდეგი პროექტების განხორციელება: კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.</p> <p>- ქ. ზესტაფონში ყოფილი პოლიციის მოპირდაპირედ სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 88,7 ათასი ლარი.</p> <p>- ქ. ზესტაფონში, წერეთლის №8 კორპუსის მიმდებარედ ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა ღირებულებით 70,3 ათასი ლარი.</p> <p>ქალაქ ზესტაფონში ცენტრალური პარკის ( ირინეს პარკის ) რეაბილიტაცია 1 006 324,00 ლარი .</p> <p>- ზეზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა წერეთლის სხელობის თეატრონის რეაბილიტაცია 1 157 246,00 ლარი.</p>		
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	პროგრამის მიზანია სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.		

## მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელის გეგმა ათას ლარებში
<b>06 00</b>	<b>მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>2 563,1</b>
<b>06 01</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>223,0</b>
06 01 01	ს.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი	197,3
06 01 02	ამბულატორიები	25,7
